

კ ი ბ ი რ ა ხ ა ს ა ხ ა ს

J-79785

ბიობიბლიოგიაფია

ქართული ენერგეტიკის  
მუზეუმი

КОВА КХАРАДЗЕ

Biobibliography



КОВА ПАВЛОВИЧ ХАРАДЗЕ

библиография

თბილი - Tbilisi - Тбилиси

2012

08160 ქართველი სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ეროვნული სამეცნიერო გიგლიოთება

**IV. JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY  
NATIONAL SCIENTIFIC LIBRARY**



**ბიობიბლიოგრაფიული სერია „ქართველი მეცნიერები“  
Biobibliographical Series „Georgian Scholars“**

**K O B A**  
**K H A R A D Z E**

**Biobibliography**

**КОБА ПАВЛОВИЧ**  
**ХАРАДЗЕ**

**биобиблиография**

Tbilisi – 2012 – Тбилиси

კ ლ ბ ა  
ხ ა რ ა ძ ე

## ბიობიბლიოგრაფია

012 (ხარაძე კ.) + 016:91  
ხ-259

გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ კობა ხარაძის ბიბლიოგრაფიაში თავმოყრილია 1968-2012 წლების მასალა: სამეცნიერო შრომები, სამეცნიერო-პოპულარული სტატიები, გამოუქვეყნებელი შრომები, მისი რედაქციით გამოცემული შრომები და ლიტერატურა მის შესახებ.

მასალა განლაგებულია ქრონოლოგიურ-ანბანური რიგით. ბიბლიოგრაფიას წინ უძლეის კობა ხარაძის სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მოქლე მიმოხილვა, ცხოვრებისა და მოღვაწეობის მირითადი თარიღები. ერთვის ძირითად შრომათა, სახელთა და გეოგრაფიულ სახელწოდებათა ანბანური საბიბლიონი.

The bibliography of Geography science doctor, professor Koba Kharadze contents the materials of 1968-2012 years: the scientific works, the scientific-popular articles, the publications, the reports, the works, published under his editorship and the literature about him.

The materials are arranged in chronological-alphabetical order. The biobibliography is prefaced by a short review of scientific and public activities of K. Kharadze, dates of his life and activity. Indexes of main works, names and geographical names are appended in alphabetical order.

## რედაქტორი ირაკლი ღარიბაშვილი

ბიბლიოგრაფიული რედაქტორი ნანა ბაღათურია

შემდგენლები: ია დუდუჩიავა, მარიკა ჟორჟოლიანი

გარეკანის დიზაინი ნინო ხოსრუაშვილი

© ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ISBN 978-9941-0-4300-0

ISSN 2298-0059



## შინაარსი – CONTENTS

კობა ზარაძე (სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მოქლე მიმოხილვა).....	7
Koba Kharadze (A Short Review of Scientific and Public Activities).....	22
კობა ზარაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი თარიღები .....	35
The Main Datas of Koba Kharadze's Life and Activities.....	38
კობა ზარაძის შრომები.....	40
Koba Kharadze's Works .....	40
კობა ზარაძის გადაღებული ფოტოები დაბეჭდილი სხვადასხვა გამოცემებში .....	95
Photos Taken by Koba Kharadze, Printed in Various Publications.....	95
საფონდო შრომები .....	100
Stock Works.....	100
საგრანტო შრომები.....	101
Grant Works.....	101
გამოუქვეყნებელი შრომები .....	102
Unpublished Works .....	102
კობა ზარაძის რედაქტორობით გამოცემული_შრომები .....	103
Works Edited by Koba Kharadze .....	103
კობა ზარაძის რეცენზიით გამოცემული შრომები.....	106
Works Published by Koba Kheradze's Reviews.....	106
ლიტერატურა კობა ზარაძის შესახებ.....	107
Literature About Koba Kharadze.....	107
მონოგრაფიების და სახელმძღვანელოების ანბანური საძიებელი .....	115
Alphabetical Index of Monographs and Textbooks.....	115
სახელთა საძიებელი .....	117
Index of Names .....	117
გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი .....	125
Geographical Indexes .....	125

## პობა ხარაშვი

(სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მოკლე  
მიმოხილვა)

დიდი ლევან მარუაშვილის სამათეულზე მეტ აღზრდილ გეოგრაფ მეცნიერთა შორის მეცნიერული პროდუქციის სიუჩვით, გამორჩეული კვლევის პათოსით, არაჩეულებრივი ანალიზის უნარით, მეცნიერულ-თემატური მრავალფეროვნებით, მეცნიერული კვლევა-ძიების დიაპაზონით, პრობლემებისადმი სიღრმისული წელით, ნიჭიერებით, კეთილსინდისიერი კვლევით პირველი ადგილი უკავია გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ კობა ზარაძეს, რომლის მეცნიერული ნამოღვაწარი ღირსეული წელითია საქართველოს გეოგრაფიული მეცნიერების განვითარებაში. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ იგი გეოგლინგბა ღირდი ლევან მარუაშვილის ღირსეულ მემკვიდრეობართული გეოგრაფიული მეცნიერების განვითარების საქმეში, რომელსაც ბატონი კობა დღესაც ჩვეული ენერგიით, სიყვარულით და შემართებით აგრძელებს.

გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, კობა ზარაძე დაიბადა ჩხარში (თერჯოლის რაიონში) 1940 წლის 20 ოქტომბერს. აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა და მუშაობა დაიწყო ჩხარის კრამიტის ქარხანაში, საიდანაც 1959 წლის სექტემბერში გაიწვიეს სამხედრო სამსახურში ქ. დონის როსტოკვში.

კობა ზარაძეს ბავშვობიდანვე იზიდავდა მშობლიური ბუნებისა და ისტორიის დიდი სიყვარული. ამ მიზნით იგი ბევრს მოგზაურობდა რაიონის ტერიტორიაზე და მთელი არსებით აკვირდებოდა ბუნების მოვლენებს, სწავლობდა მის ისტორიას. სწორედ ამანაც გადაწყვიტა მისი მომავალი პროფესიის ორიენტაცია.

1962 წელს მისაღები გამოცდები წარმატებით ჩააბარა და ჩაირიცხა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ბიოლოგია-გეოგრაფიის სპეციალობაზე, თუმცა, მეორე კურსიდან სპეციალობა მხოლოდ გეოგრაფიად გარდაიქმნა. სტუდენტობის პერიოდში

გამოირჩეოდა დიდი მონდომებით, სიბეჯითით, ფრიადებზე სწავლით, ყურადღებით ექცეოდა როგორც სააუდიტორიო (ლექციაპრაქტიკუმები, ლაბორატორიული სამუშაოები, კოლოკვიუმები), ისე საველე სამუშაოებს. მის მიერ მრავალი სამეცნიერო შრომა დამუშავდა, რომელთა თეზისები გამოქვეყნდა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის მასალებში. მუყაითი შრომითა და დისკიპლინით გამორჩეული ყურადღებას იპყრობდა, აგრეთვე, გამართული და საუკეთესო სამეტყველო დიქციით, ხმის ტემბრით, ორატორული ხელოვნებით, რამაც განსაკუთრებული გავლენა იქონია მის პედაგოგიურ მოღვაწეობაზე. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ განაწილებულ იქნა ჯერ წალეის რაიონის სოფელ გუმბათის, ხოლო შემდეგ მოღვაწეობდა თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ბოგვის საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებლად. სკოლაში მუშაობის პერიოდში კარგი ავტორიტეტი მოიხვეჭა პედაგოგიურ კოლექტივსა და მოსწავლე-აზალგაზრდობაში. მისი გაკვეთილები ყოველთვის გამოირჩეოდა სიახლით და მაღალი მეცნიერულ-მეთოდური დონით. სკოლაში მუშაობის დროს, კიდევ უფრო გაიღრმავა ცოდნა გეოგრაფიის რიგ საკითხებში, ეცნობოდა სამეცნიერო ლიტერატურას. ნორჩ მხარეთ-მცოდნეთა წრის წევრებთან ერთად ატარებდა ექსკურსიებს და აგროვებდა მდიდარ ტოპონიმიკურ მასალას, რამაც შემდგომში დასაბამი მისცა მისი სამეცნიერო საქმიანობის დაწყებას. სკოლაში მუშაობის პერიოდში სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავებისა და საველე-კვლევის საფუძველზე დაწერა რამდენიმე რაიონის გეოგრაფიული დახასიათება საშუალო სკოლების პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნის – „თავისი რაიონი,“ შესაბამისად. მისი, როგორც რაიონის მოწინავე მასწავლებლის საქმიანობა მრავალჯერ იქნა გაშუქებული რაიონულ პრესაში.

1969 წელს წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტიტის დასწრებულ ასპირანტურაში, სადაც მისი მეცნიერული ხელმძღვანელი იყო გამოჩენილი ქართველი მეცნიერ გეოგრაფისი ლევან მარუაშვილი. მისი უშუალო მითითებითა და კონსულტაციებით, ხარისხის მაძიებ-

ლის თავდადებული და დაუღალავი შრომის შედეგად, კობა ზარაძემ ვადამდე ადრე (ასპირანტურის დამთავრებამდე), წარადგინა დასრულებული საკანდიდატო სამეცნიერო ნაშრომი თემაზე – „გეოგრაფიული ცოდნის ისტორია ძველ საქართველოში (X-XVIII სს.),“ რომელიც წარმატებით დაიცვა 1973 წლის სექტემბერში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალიზირებულ ზარისხების მიმნიჭებელ სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე.

კობა ზარაძე ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტში მოსვლის დღიდან იყო გეომორფოლოგიის განყოფილების წევრი, ასპირანტურის დამთავრების შემდეგ ჯერ უმცროსი, ხოლო 1974 წლიდან უფროსი მეცნიერი თანამშრომელი. 20 წლის მანძილზე მან მონაწილეობა მიიღო აღნიშნული განყოფილების, როგორც კოლექტიურ, ისე ინდივიდუალურ სამეცნიერო ექსპედიციებში. წლების განმავლობაში შემოიარა საქართველოს მთა-ბარი, შეისწავლა ყველა კუთხე-კუნძული, დააგროვა მდიდარი საექსპედიციო მასალა, რომლებიც სკრუპულობურად გააანალიზა მოსკოვის, სანქტ-პეტერბურგისა და თბილისის არქივებსა და ზელნაწერებში გამოვლენილ მასალებთან ერთად, რამაც საშუალება მისცა რიგი სამეცნიერო შრომების შექმნისა.

მისი სამეცნიერო კვლევის სფერო გეოგრაფიის ისტორიასთან ერთად იქცა ისტორიული გეოგრაფიის მთელი რიგი პრობლემური საკითხების დამუშავება, რაც წარმატებით იქნა დაძლეული. ამ დღიდ მეცნიერულ საქმეში მის მიერ გაყვანილი ხნული თვალსაჩინოა ქართულ გეოგრაფიულ მეცნიერებაში. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიტანოთ კობა ზარაძის ერთ-ერთი წიგნის რედაქტორის და მეცნიერული ხელმძღვანელის, დიდი ლევან მარუაშვილის სიტყვები: „კობა ზარაძის წიგნი „საქართველოს ძველი ტოპონიმები“ – ბეჯითი, კეთილსინდისიერი და პატრიოტიზმით სულშთანაბერი შრომის ნაყოფია. ქართველი საზოგადოება ლებულობს სამაგიდო წიგნს, რომელიც შეავსებს ყველა ბიბლიოთეკას, – საჯაროდან საოჯახომდე. ვერ წარმომიდგენია განათლებული თანამემამულე ძველი ტოპონიმების განმარტებითი ლექსიკონის გარეშე. მწერალი თუ მეცნიერი, აღმინისტრატორი თუ სახალხო მეურნეობის პასუხისმგებელი მუშა-

კი, პედაგოგი თუ ჭურიზმის მოყვარული კ. ხარაძის წიგნის საჩით მეტად სასარგებლო ცნობარს პპოვებს.“ ამ ნაშრომში კობა ხარაძემ თავი მოუყარა 30 ათასზე მეტ ძველ ქართულ ტოპონიმს, რომელთა ნაწილის ლოკალიზაცია და ეტიმოლოგია მან ჩაატარა. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ 1982 წელს მოაშადა მისი პირველი წიგნი – „საქართველოს ძველი ტოპონიმები“, აიწყო კიდეც თბილისის წიგნის ფაბრიკაში, მაგრამ, სამწუხაროდ, აწყობილი წიგნის მატრიცები გაანალგურეს, რადგან ავტორმა არ შეასრულა ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნა წიგნიდან ამოედო აფხაზეთის ტოპონიმია და ტირაუი აღარ დაბეჭდილა. არადა, ნაშრომში თავმოყრილია წერილობითი და კარტოგრაფიული წყაროებიდან ამოკრებილი შვიდი ათასამდე ძეგლი ტოპონიმი, რომლებიც არ აღინიშნება და არ იხმარება ოფიციალურ მიმოწერაში. სიტყვარს თან ახლავს ძველი და ახალი შესატყვისები, გეოგრაფიული მდებარეობა, ხმარების ქრონოლოგიური ზღვრები, სახელწოდებათა ეტიმოლოგია (ნაწილი ტოპონიმებისათვის), მათი გეოგრაფიულ-ისტორიული მნიშვნელობის შესახებ არსებული შეხედულებები, მითითებები პირველადსა და მეორად წყაროებზე. წიგნის სამეცნიერო რედაქტორი, პროფესიონი ლევან მარუაშვილი დასაწყისშივე წერს: „ათ- წელზე მეტი მოანდომა კობა ხარაძემ საქართველოს ძველი ტოპონიმების შეკრებას, განმარტებას და დახასიათებას. მისი დაძაბული შრომის შედეგად მივიღეთ ფრიად საჭირო წიგნი – ჩვენი ქვეყნის გაუქმებულ გეოგრაფიულ სახელწოდებათა ლექსიკონი...“

კობა ხარაძემ ისტორიულ გეოგრაფიაში შექმნა ოთხი უუნდამენტური წიგნი: ზემო, შიდა, ქვემო ქართლი და კახეთი, რითაც დაასრულა აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის შესწავლა. აღნიშნული შრომები გამოქვეყნდა ასეთი თანმიმდევრობით: 1991 წელს გამომცემლობა „მეცნიერებამ“ გამოსცა მისი მონოგრაფია – „საქართველოს ისტორიული გეოგრაფია. ქვემო ქართლი“, 1992 წელს გამომცემლობა „განათლებამ“ – „საქართველოს ისტორიული გეოგრაფია.. შიდა ქართლი“, 2000 წელს გამომცემლობა „მეცნიერებამ“ – „საქართველოს ისტორიული გეოგრაფია. ზემო ქართლი“, ხოლო 2010 10

წელს დაისტამბა „კაზეთის ისტორიული გეოგრაფია (XVIII ს.)“. აღნიშნული მონოგრაფიები შედევია მკვლევარის მიერ გაწეული მრავალწლიანი დაუდალავი შრომისა. მათში ნათლად ჩანს საველე და კამერალური მასალების ურთიერთშეჯერება და გაკეთებულია საყურადღებო მეცნიერული დასკვნები, რომლებიც სიახლით ახალ საფეხურს წარმოადგენს წინამორბედ მკვლევართა ფონზე. განსაკუთრებით ყურადღება გამახვილებულია ძველი ტოპონიმების კვლევაზე, მათ ლოკალიზაციასა და ნაწილობრივ ეტიმოლოგიაზე; ამასთან, ტოპონიმთა ნაწილის ლოკალიზაცია საკუთარი შემუშავებული ხერხებითა და მეთოდებით არის გადაწყვეტილი. მონოგრაფიებში განხილულია, აგრეთვე, მოსახლეობისა და დასახლებული პუნქტების სიმჭიდროვე. ყურადღება გამახვილებულია ეთნოგრანზზე, საზღვრებზე, ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებზე და სხვ. შედგენილი აქვს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის, მოსახლეობის, დასახლებული პუნქტების სიმჭიდროვისა და ტოპონიმთა ლოკალიზაციის რეტროსპექტული რუკები.

კობა ხარაძემ 1993 წელს წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე – „საქართველოს ისტორიული გეოგრაფია. ქართლი.“ სადისერტაციო ნაშრომში შეჯამებულია ორი ათეული წლის რუდუნებითი კვლევის შედეგები; განხილულია ქართლის ისტორიული გეოგრაფიის რიგი საკითხები, რამაც ავტორს შესაძლებლობა მისცა ახლებურად გადაეწყვიტა ზოგიერთი მონაცემი, რომლებიც ადრე ნაკლებად ან ბუნდოვნად იყო გადმოცემული. ამ მხრივ, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ძველი ტოპონიმების გამოვლენას და მათ ლოკალიზაციას. დამატებითი კვლევა-ძიების საფუძველზე ნაწილი ტოპონიმების ლოკალიზაციას გაუკეთდა კორექტირება. ისტორიული წყაროებისა და საველე დაკვირვებების შედეგად ბევრი ტოპონიმის კვლევა ახლებურად წარიმართა. მოახდინა ასეულობით ძველი ტოპონიმის ლოკალიზაცია და შეადგინა შესაბამისი რუკები.

მეცნიერმა უზარმაზარი შრომა გასწია ქართული გეოგრაფიული აზროვნების ჩამოყალიბებასა და განვითარების კვლევის საქმეში. ამ პრობლემატურ საკითხებს მან არაერთი ნაშრომი

მიუძღვნა. მათ შორის საყურადღებოა მონოგრაფიები – „გეოგრაფიული აზროვნება ძველ საქართველოში,“ „XII-XV საუკუნეების ქართველი და უცხოელი მოგზაურები“ (გამომცემლობა „განათლება,“ თბილისი, 1987), „XVII-XIX საუკუნეების ქართველი მოგზაურები“ (გამომცემლობა „განათლება,“ თბილისი, 1987), რომელებშიც განხილულია ქართული გეოგრაფიული ცოდნის განვითარება უძველესი პერიოდიდან XIX საუკუნის ბოლომდე; ნაჩვენებია ის გზა, რომელიც განვლო ქართულმა გეოგრაფიულმა და სამოგზაურო დარგის განვითარებამ, გაანალიზებულია მოგზაურთა შთაბეჭდილებების წიგნები გეოგრაფიული თვალთახედვით, შედგენილია მოგზაურთა მარშრუტული რუკები, რომელთა ნაწილი პირველადაა გაკეთებული.

პროფესორ კობა ხარაძემ შეადგინა ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის დაარსების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო წიგნი, რომელშიც წარმოჩენილია საქართველოში გეოგრაფიული მეცნიერების ჩამოყალიბება და განვითარება ბოლო პერიოდამდე; დაწვრილებითაა მოთხრობილი ინსტიტუტის მიერ განვლილი 50 წლიანი შემოქმედებითი ღვაწლი და სამომავლო პერსპექტივები.

ვახუშტი ბაგრატიონის მდიდარ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით კობა ხარაძემ გამოსცა ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომის „საქართველოს გეოგრაფიის“ I (სამცხე) და II (ქართლი) წიგნები. გათვალისწინებული იყო ამ სერიის კიდევ სამი წიგნის გამოცემა. კობა ხარაძე ამ გამოცემების რედაქტორ-შემდგენელია, რომელშიც მოცემულია ვახუშტისეული საქართველოსა და მისი ცალკეული მხარეების გერბები, რომელთაც თან ახლავს მათი აღწერა, თანამედროვე კარტოგრაფიულ საფუძველზე გაკეთებულია მხარეების აღმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის რუკები, სოფლების სიები და კრცელი წინასიტყვაობა.

კობა ხარაძემ დიდი ამაგი დასდო „საქართველოს წითელი წიგნის“ არაორგანული ბუნების ძეგლების განყოფილების შედგენასა და გამოცემის სასიკეთო საქმეს. მეცნიერმა ძალზე დიდი შრომა გასწია „საქართველოს გეოგრაფიული კალენდრების სერიის შექმნაზე, პირველი მათგანი 1987 წელს გამომცემლობა

„განათლებამ“, მეორე 1988 წელს – „არაორგანული ბუნების ძეგლები“, მესამე 1990 წელს – „ბუნება და ადამიანი.“ თითოეული მათგანი 8 საავტორო თაბაზია, რომლებშიც მეტად საყურადღებო ცნობებია თავმოყრილი. სამივე კალენდარი მაღალ პოლიგრაფიულ დონეზეა გაკეთებული და ავტორის მიერ გადაღებული მეტად საყურადღებო ფოტოებია მოთავსებული.

კობა ხარაბეგ მისი მასწავლებლის გზით სწორუპოვრად და დაუღალავად მავალმა კაცმა, ლევან მარუაშვილისეული დაპროგრამებული რეგლამენტით იმუშავა მრავალწახნაგოვნად, რომლის შემოქმედებაში შეიძლება გამოიყოს გეოგრაფიული მეცნიერების დარგების შემდეგი ძირითადი მიმართულებები, რომელთა კვლევაში მან თვალსაჩინო წვლილი შეიტანა:

1. ისტორიული გეოგრაფია; ამ დარგში შექმნილი ოთხი მონოგრაფიით არსებითი წვლილია შეტანილი აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის შესწავლაში, რაზედაც ნაწილობრივ ზემოთაც ითქვა, მაგრამ ამჯერად დავამატებთ, რომ ამ დიდი პრობლემის კვლევის საქმეში სიახლეთა გამოვლინებისა და ანალიზის შედეგად ბევრი რამ დააზუსტა და შესწორება-დამატებები შეიტანა ვაზუშტი ბაგრატიონის შეხედულებებშიც.

2. გეოგრაფიული შესწავლის ისტორია. კობა ხარაბეგ უზარმაზარი შრომა გასწია ქართული გეოგრაფიული აზროვნების კვლევის საქმეში. ამ საკითხს მან მიუძღვნა ექვსზე მეტი მონოგრაფია (მათგან სამი ზემოთ იყო დასახელებული), რომელთაგან 1996 წელს გამომცემლობა „მეცნიერებამ“ გამოსცა „გეოგრაფიული ცოდნის ისტორია ძველ საქართველოში.“ 2008 წელს „ლეგამ“ დასტამბა – „ოცდათორმეტი წელი აზიის ქვეყნებში – რაფიელ დანიბეგაშვილის უჩვეულო მოგზაურობანი“, 2010 წელს „სულხან-საბა ორბელიანის გეოგრაფიულ-კარტოგრაფიული მემკვიდრეობა“. ექვსივე მონოგრაფიაში არსებითი ხასიათის მეცნიერული სიახლეებია მოცემული, რაც ავტორის მაღალ მეცნიერულ დიაპაზონზე მეტყველებს. ამავე მიმართულებით უნდა დავასახელოთ ენციკლოპედიური ხასიათის მონოგრაფიული ცნობარი (გამომცემლობა „განათლება“, 2003) – „ქარ-

თველი მოგზაურები, გეოგრაფები, ბუნების მკვლევარნი“ (შოთა ჯავახიშვილთან ერთად).

3. უმაღლესი და საჯარო სკოლის რამდენიმე სახელმძღვანელოს ავტორი ან თანაავტორია, მათ შორის აღსანიშნავია „საქართველოს ისტორიული გეოგრაფია“ („კაბალონი“, 2003), „ზოგადი ფიზიკური გეოგრაფია“ (თანაავტორობით, თსუ-ს გამომცემლობა, 2003); საჯარო სკოლის სახელმძღვანელოები: „საქართველოს გეოგრაფია“, IX კლასის სახელმძღვანელო“ (თანაავტორობით, გამომცემლობა ლოგოს პრესი, 2008), „ჩვენი საქართველო“, V კლასის სახელმძღვანელო (თანაავტორობით, გამომცემლობა ლოგოს პრესი, 2010).

4. საექსკურსიო-ტურისტული მიმართულება, სადაც მან შექმნა საკუთარი საველე გამოკვლევებისა და დიდალი ლიტერატურული წყაროების ანალიზის საფუძველზე არსებითი ზასიათის მონოგრაფიები: „ჯავახეთის ზუროთმოძღვრული და ბუნების ძეგლები“ (გამომცემლობა „ფავორიტი“, 2003), „სამშვილდე“ (2010), „ბოდორნა“ (2010), „ხერთვისიდან ვარძიამდე“ (2011). ამავე მიმართულებით მან შეადგინა ტურისტულ-საექსკურსიო რუკები, კალენდრები, გამოაქვეყნა მრავალი სტატია, საშუალო და უმაღლესი სკოლების გეოგრაფიის სახელმძღვანელოებში შეიტანა უამრავი ტურისტულ-საექსკურსიო მასალა. ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ აღნიშნული მონოგრაფიები უზრუნველყოფილია მის მიერ გადაღებული ისტორიული და ბუნების ძეგლების ამსახველი ფერადი ფოტოსურათებით და საექსკურსიო-ტურისტული რუკებით.

5. სამედიცინო გეოგრაფიული მიმართულება. ამ კუთხით მან გამოაქვეყნა სხვადასხვა დროს წერილები, გეოგრაფიულ სახელმძღვანელოებში დასტამბა ცალკე თავების სახით, კონკრეტულად მის მშობლიურ ჩხარს მიუძღვნა ორი მონოგრაფია: „მაღლი ღვაწლისა – ექიმი ილია პულუზაშვილი“ (2007), „საუკუნე ჯანმრთელობის სამსახურში“ (2010). ორთავე მონოგრაფია ემყარება წლების მანძილზე საარქივო მასალებში მოპოვებული, პირადად ხალხში შეკრებილი და საკუთარი თვალით დანახული ფაქტების განზოგადოება-ანალიზს. სამედიცინო გეოგრა-

ფის სწავლების დანერგვას საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში მეცნიერი ყოველთვის აქცევდა და აქცევს ჯეროვან ყურადღებას.

6. სამხედრო გეოგრაფიული მიმართულება კობა ზარაძის მეცნიერული კვლევა-ძების თვალსაწიერში სათანადო ადგილს იჭერს. ამის საილუსტრაციოდ მარტო 2010 წელს გამოქვეყნებული მონოგრაფია – „კახეთის ისტორიული გეოგრაფიაც“ იქმარებდა, სადაც ცალკე საკითხად და სავსებით დასაბუთებულად არის გაანალიზებული სამხედრო გეოგრაფია. ცალკე თავად არის სამხედრო გეოგრაფია მოცემული „საქართველოს გეოგრაფიის“ უმაღლესი სასწავლებლის სახელმძღვანელოში. რამდენიმე სტატია მიუძღვნა „ვეფხისტყაოსნის“ სამხედრო გეოგრაფიულ საკითხებს. იგი წლების განმავლობაში სოხუმის უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციების კურსს სამხედრო გეოგრაფიაში.

7. საეკლესიო გეოგრაფიული მიმართულება კობა ზარაძის მეცნიერული კვლევის სფეროში, მისი შემოქმედებითი მეშეკიდრეობის თვალსაწიერში, არსებითი წვლილის სახით გვევლინება, რომლის დასტურად იგივე – „კახეთის ისტორიული გეოგრაფია“ გამოდგება, სადაც ცალკე საკითხად (მიმართულებად) არის გაანალიზებული და მდიდარი მის მიერ გადაღებული საეკლესიო ისტორიული ძეგლების ფოტო-მასალით უზრუნველყოფილი. ისტორიულ ძეგლებს კი ავტორმა მრავალი სტატია, რუკა და სატელევიზიო გადაცემა მიუძღვნა. ამავე საკითხს განიხილავს უმაღლესი სკოლის ორ სახელმძღვანელოში – საქართველოს გეოგრაფია, ნაწ. I (1999) და საქართველოს ისტორიული გეოგრაფია (2003).

8. ონომასტიკის მიმართულებით მარტო მის მიერ გაწეული ფასდაუდებელი, უზარმაზარი საქმიანობაც იქმარებდა. გარდა ზემოთ აღნიშნული გამოუცემელი წიგნისა, მან ათეულობით სტატია გამოაქვეყნა სხვადასვა კრებულებში – „ონომასტიკის“, გეოგრაფიული საზოგადოების შრომებში და სხვ. ასევე, უურნალ „საქართველოს ბუნებაში,“ გაზეთებში. მას დიდი წვლილი მიუძღვის ბოლნისის რაიონში ძველი ქართული ტოპონიმების აღდგენაში.

**9. რეგიონული კვლევითი მიმართულება.** მან მარტო ჩხარის თემატიკაზე გამოაქვეყნა 5 მონოგრაფია, მათ შორის, ენციკლოპედია ჩხარი (2008). ენციკლოპედია მოიცავს: ბუნებას, ისტორიას, კულტურას, განათლებას, ეკონომიკას, მოსახლეობას, ეთნოლოგიას, ტოპონიმიას, სპორტს და სხვ. განსაკუთრებული ადგილი უკავია პერსონალიას – პიროვნებათა ბიოგრაფიულ მონაცემებს. 1200-ზე მეტი სტატია და განმარტებაა, რომელშიც პერსონალია 400-მდე პიროვნებაზეა. ენციკლოპედიის შესახებ გაზეთი „თერჯოლა“ (30.XI.2009) წერდა: „მეცნიერის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ენციკლოპედიაში თავმოყრილი და სისტემაში მოყვანილია ყველაფერი, რაც სოფელ ჩხარს უკავშირდება უძველესი პერიოდიდან მოყოლებული დღემდე...“ შემდეგ გაზეთი აღნიშნავდა: „ჩვენი მკითხველისათვის საინტერესო იქნება გაეცნოს ავტორს, მართლაც საინტერესო პიროვნებას, მაღალი რეიტინგის სწავლულს, უაღრესად შრომისმოყვარე და მაძიებელ კაცს, ძირძველ ჩხარელს, რომელიც დიდი ერთგულებით, რუდიუნებით ქმნის იმას, რაც ღირებულია, რაც აგრე რიგად სჭირდება ჩვენს საზოგადოებას, ჩვენს აზალ თაობებს და ყველა ჭეშმარიტ მამულიშვილს.“

**10. ფიზიკური გეოგრაფიის მიმართულებით მნიშვნელოვანი არის მისი როლი, რამეთუ ბატონი კობა კარგად არის გარკვეული „ველის (ბუნების) კითხვის“ საქმეში, რომელიც ჩინებულად გამოაწროო მისმა ზელმძღვანელმა დიდმა ლევან მარუაშვილმა. ფიზიკურ გეოგრაფიული ზასიათის კვლევა-ძიება კარგად არის წარმოჩენილი მეცნიერის შემოქმედებაში. მისი ფუნდამენტური მონოგრაფიები: ზემო, შიდა, ქვემო ქართლი, კახეთის ისტორიული გეოგრაფია, ჩხარი, ჩხარის ენციკლოპედია და სხვ. ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოს, მისი რესურსების, ლანდშაფტის კომპონენტების ღრმა მეცნიერულ ანალიზს მოიცავს. ფიზიკურ-გეოგრაფიულ ფუნდამენტზე, შემდეგ მწყობრი მეცნიერული თანმიმდევრობით დაშენებული აქს ისტორიული და გეოგრაფიის ისტორიის მასალები. პირადად მე ვარ ცოცხალი მემატიანე და თვალით დამნახველი იმისა, თუ როგორი დიაპაზონით სწავლება ბატონი კობა ბუნების სიღრმისეული აღქმის საქმეს,**

რამეთუ ველზევე აკეთებს შესაშურად სწორ მეცნიერულ დასკრინებს, აყალიბებს საკუთარ შეხედულებებს და მართებულად საზღვრავს ბუნებრივი რესურსების პროგნოზირების სხვადასხვა ასპექტებს.

11. ურნალისტური მიმართულება, სადაც მის კალამს ეკუთვნის ურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული 300-ზე მეტი წერილი მთელ რიგ აქტუალურ საკითხებზე. სპელეოლოგი და ურნალისტი ჯუმბერ ჯიშკარიანი საგაზეთო წერილში „ფუტ-კარივით დაუზარელი...“ წერდა: „დიდი გამოხმაურება ჰქონდა მისი წერილების სერიალებს პუჯაბის სამონასტრო კომპლექსზე, ბუნების ძეგლებზე, ტოპონიმიაზე და სხვ.“

კობა ხარაძემ დიდი ამაგი დასდო 1997 წელს ვახუშტი ბაგრატიონის დაბადებიდან 300 წლის იუბილეს მომზადებისა და ჩატარების საქმეს (რომელიც მოეწყო იუნესკოს ეგიდით), რამეთუ მან გასწია დიდზე-დიდი მუშაობა ვახუშტის სწორუპოვარი „საქართველოს ატლასისა“ და „საქართველოს გეოგრაფიის“ მომზადება-გამოცემის საშვილიშვილო საქმეში. ასევე დიდია მისი წვლილი „საქართველოს წითელი წიგნის“ არაორგანული ბუნების ძეგლების განყოფილების ტექსტებისა და საილუსტრაციო მასალების მომზადებაში. მისი რედაქტორობით არაერთი რუკა, სახელმძღვანელო და კრებული გამოიცა, არაერთი კონფერენციის მომზადებასა და ჩატარებაში მიიღო აქტიური მონაწილეობა. არის საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების სამცნიერო საბჭოს წევრი, მსოფლიო მიღწევათა და მოგზაურთა ხელშემწყობი კავშირის (კლუბი „გიორგი“) გამგეობის წევრი. მეცნიერებაში გაწეული დიდი ღვაწლისათვის შეყვანილია – „ვინ ვინ არის“ 2005 წლის ენციკლოპედიაში, რომელსაც გამოსცემს ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტი, მინიჭებული აქვს 2005 წლის მამაკაცის ჯილდო – „Man of the year.“ დასახელებულია აგრეთვე მოძიების მრჩეველთა საბჭოს წევრად. შექმნა გეოგრაფიის ინსტიტუტის მემორიალური მუზეუმი (1984) და აკადემიკონსების – ალაქსანდრე ჯავახიშვილისა (1985, ს. ძევერა, გორის რ.) და თეოფანე დავითაიას (1986, ს. ეკი, სენაკის რ.) სახლ-მუზეუმები.



კობა ხარაძე წლების განმავლობაში იყო ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში გეოგრაფიის სახელმწიფო-საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე, ხოლო 2006 წელს ამავე უნივერსიტეტის გეოგრაფიის დარგში პროფესორ-მასწავლებელთა საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე. ორივე შემთხვევაში გამოირჩეოდა როგორც კომპეტენტურობის, ობიექტურობისა და უმწიკვლოების ეტალონი. 2009-2011 წლების ზაფხულის პერიოდში მონაწილეობას ღებულობდა დასახელებული უნივერსიტეტის გეოგრაფიის სპეციალობის სტუდენტთა საკულტურულ-სპეციალისტის მუშაობაში, როგორც წამყვანი ხელმძღვანელ-სპეციალისტი.

კობა ხარაძემ სავსებით დამსახურებული და ადამიანური პატივი მიაგო მეცნიერ-ხელმძღვანელს დიდ ლევან მარუაშვილს, რამეთუ ჯერ მის სიცოცხლეში უურნალ „საქართველოს ბუნება-ში“ (1992, №4-5) გამოაქვეყნა სავსებით ობიექტური და აკადემიური ხასიათის ვრცელი სტატია თემაზე: „დიდი მკვლევარი“, რომლის გამო აღვროთოვანებულმა აღმზრდელმა დიდი მადლობა გადაუხადა ღირსეულ აღზრდილს; ბატონი ლევანის გარდაცვალების შემდეგ მადლიერმა მოწაფემ აღმზრდელის დაბადებიდან 90 წლისთავს მიუძღვნა არაჩვეულებრივი მონოგრაფიული სქელტანიანი გამოკვლევა (2002): „ბუნების უბადლო მკალევარი ლევან მარუაშვილი“, რითაც ბატონმა კობამ „ხელ-თუქმნელი ძეგლი“ დაუდგა მის ბუმბერაზ ხელმძღვანელ-მასწავლებელს ლევან მარუაშვილს!

კობა ხარაძე წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკის სექციას, იყო ამავე საზოგადოების შრომებისა და უურნალ „გეოგრაფის“ სარედაქციო კოლეგიის პასუნისმგებელი მდივანი.

მეცნიერი, როგორც ზემოთაც აღინიშნა, თავისი გამართული და დახვეწილი მეტყველებით, არაჩვეულებრივი ხმის ინტონაციითა და ტემბრით, ხიბლავს მსმენელს, ამიტომ, მისი გამოსვლით აუდიტორია, მოსწავლე თუ სტუდენტი ახალგაზრდობა და მეგობარ-კოლეგები ყოველთვის კმაყოფილი რჩება და აუდიტორიაშიც განუწყვეტელი ხალხმრავლობაა.

როცა ვეზებით კობა ხარაძის, შეიძლება ითქვას, ზებუნებრივ მრავალწახნაგოვან მოღვაწეობას, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში“ (29.XI.1990) მისი სტატიაზე წამდლვარებულ წინათქმას, სადაც ვკითხულობთ სავსებით სამართლიან, მისადაგებულ რეალურ სიტყვებს: „კობა ხარაძე, დაუღალავი მეცნიერი და მკგლევარი იმ გულმხურვალე მამულიშვილთა წარმომადგენელია, რომელსაც საკუთარი და ეროვნული სატკივარი ერთმანეთისაგან არასოდეს გაურჩევია. ეს ის კაცი გახლავთ, რომელიც ჩვენს გვერდით იდგა ჯერ კიდევ მაშინ, როცა პუჯაბის ბეჭით თითო-ოროლა კაცი იყო დაინტერესებული. დღეს, როცა საქელმოქმედო ასოციაცია „ალორძინების“ გარდა პუჯაბის სამონასტრო კომპლექსის საკითხი მთელი ქართველი ერის სატკივარი გახდა, ბატონი კობა ისევ მხარში გვიდგას და გამუდმებული კვლევა-ძიების შედეგად მოპოვებულ ახალ დოკუმენტურ მასალებს გვთავაზობს.“

ამ, სინდისისა და მეცნიერებისათვის დაბადებულ მგზნება-რე მამულიშვილს გამოქვეყნებული აქვს 500-ზე მეტი სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომი, მათ შორის 35 მონოგრაფია, უმაღლესი და საჯარო სკოლის 7 სახელმძღვანელო. არის არაერთი წიგნის რედაქტორი და რეცენზენტი, მრავალი სამეცნიერო კონფერენციის თუ სიმპოზიუმის მონაწილე. მისი სხვადასხვა კრებულებსა და შრომებში გამოქვეყნებული სტატიები დიდი ინტერესით იკითხება. უურნალისტური საქმიანობით კობა ხარაძე ჯერ კიდევ საშუალო სკოლაში მუშაობის პერიოდიდან დაინტერესდა, რამეთუ იგი აქვეყნებს პრესაში სამეცნიერო თუ ცხოვრებისეულ საჭირობოროტო საკითხებზე საინტერესო წერილებს, რომლებიც გამოირჩევიან აქტუალობით. მთელ საქართველოში ცნობილია მისი წერილების სერიალები – პუჯაბის სამონასტრო კომპლექსზე, ტოპონიმიაზე, ისტორიულ და ბუნების ძეგლებზე, რომელთაც დიდი ინტერესით ეცნობოდა მკითხველი. ამის დასტურია ის მრავალრიცხოვანი გამოხმაურებები, რომლებიც პერიოდულად ქვეყნდებოდა პუბლიკაციებში. ამ მხრივ, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს უურნალი „საქართველოს ბუნება,“ რომელშიც მეცნიერის ათეულობით საყურადღებო წე-

რილია გამოქვეყნებული. ყოველივე ამას ემატება ისიც, რომ სა-გაზეთო და საურნალო წერილებს თან ახლავს პირადად ავტო-რის მიერ გადაღებული შთამბეჭდავი შავ-თეთრი და ფერადი ფოტო მასალა. მის მიერ გადაღებული ფერადი ფოტოები არაერ-თხელ დაბეჭდილა ურნალების „მეცნიერება და ტექნიკისა“ და „საქართველოს ბუნების“ გარეკანებზე. იგი ფერადი კინო-ფოტო მასალისა და საველე ექსპედიციების დროს მოპოვებული საფუ-რადლებო ცნობების საფუძველზე წლების განმავლობაში საქარ-თველოს ტელევიზიის გადაცემა – „გლობუსსა“ და „ბუნების კარში“ აცნობდა ტელემაყურებლებს საქართველოს უნიკალური ბუნებისა და მატერიალური კულტურის ძეგლებს. სხვადასხვა საკითხებზე არაერთხელ გამოსულა ტელევიზიების საინფორმა-ციონ პროგრამებში. ზემოთ აღნიშნულ მის მიერ შექმნილ მუზეუ-მებში ექსპონირებულია უნიკალური საექსპოზიციო მასალები გე-ოგრაფიულ და მეცნიერთა მდიდარი პირადი მასალები, რომელ-თაც გეოგრაფიული მეცნიერების პოპულარიზაციის საქმეში გან-საკუთრებული როლი ენიჭება. პროფესორი კობა ზარაძე წლების განმავლობაში საზოგადოებრივ საწყისებზე განაგებს ინსტიტუ-ტის მემორიალურ მუზეუმს.

პროფესორ კობა ზარაძემ მისი დიდი მასწავლებლის მსგავ-სად, მეცნიერებაში ათზე მეტ ძირითადი მიმართულებით შეძლო მუშაობა. ლევან მარუაშვილის მოწაფეთაგან მეცნიერებაში ყვე-ლაზე დიდ სიმაღლეზე კობა ზარაძე ავიდა. მან ამ მიმართულე-ბებით მეცნიერული კვლევა-ძიების საქმეში თავისი ფასეული სიტყვა თქვა, მაგრამ ყველაზე დიდი ამაგი მაინც საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და გეოგრაფიის ისტორიის სიღრმი-სეულ კვლევას მოახმარა, სადაც მეცნიერის მიერ შექმნილი ფუნდამენტური მონოგრაფიები ახალ საფეხურს ქმნიან ვახუშტი ბაგრატიონის შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის შესწავლის საქმეში. ვახუშტიმ ეს საკითხები XVIII საუკუნის მეცნიერულ მოთხოვნათა დონეზე გადაწყვიტა, კობა ზარაძემ ახალ, თანადროულ მოთხოვნათა საფეხურზე და-აგვირგვინა. ბატონმა კობამ ფეხდაფეხ მოიარა საქართველოს ყველა კუთხე-კუნძული, შეკრიბა მანამდე უცნობი მასალები, გა-

აანალიზა, შეაჯერა არსებულ მასალებთან, რითაც რიგ საკი-  
თხებში დაადასტურა ვახუშტი ბაგრატიონის მონაცემები, მაგრამ  
ტოპონიმების, გეოგრაფიის ისტორიისა და ისტორიული გეოგ-  
რაფიის საკითხების მთელი სპექტრი სრულიად ახლებურად ჩა-  
მოაყალიბა, რაც ფასეულია და მისი მოკრძალებული წვლილია  
ქათული გეოგრაფიული მეცნიერების განვითარების საქმეში.

ჩვენი ღრმა რწმენით, მეცნიერებაში ასეთი დიდი წარმა-  
ტების მქონე პიროვნებას დიდების შარავანდეთით მოსავს მისი  
ზნეობრივი სისპეტაკე, რამეთუ ეს ის ადამიანია, დიოგენე რომ  
ეძებდა, მაგრამ ვერ ნახა... რაოდენ დიდი სიამაყეა ის, რომ ლე-  
ვან მარუაშვილის აღზრდილთაგან მეცნიერებაში ყველაზე დიდ  
სიმაღლეზე ასული კობა ხარაძე გამორჩეული პიროვნებაა, რო-  
მელსაც უხვ მეცნიერულ შრომებთან ერთად გააჩნია მასწავლებ-  
ლისეული სისპეტაკე და პატიოსნება, რაც იშვიათი შემთხვევაა  
ადამის მემკვიდრეობაში!... რომ არა კობასთანა ადამიანები, მაშინ  
ადამის მოდგმის არსებობას აზრი არ ექნებოდა არამცთუ მეცნი-  
ერებაში, არამედ ამ ცოდვილიან დედამიწაზე... ნებისმიერი მა-  
ღალმეცნიერული რანგის ლიტერატურა ავკარგიანობის სპექ-  
ტრით, დადებითად მხოლოდ მაშინ უნდა შეფასდეს, თუ მისი  
ავტორი კობასავით ზნეობრივად აღიარებული წმინდანია...

ოთარ ჩხეიძე

გეოგრაფიის დოქტორი, სრული პროფესორი

## KOBA KHARADZE

(A Short Review of Scientific and Public Activities)

Doctor of Geographical Sciences, Professor Koba Kharadze is the number one among more than thirty scientists-geographers supervised by outstanding Levan Maruashvili. He is distinguished for his great number of scientific works, immense pathos for research, extraordinary ability for analysis, scientific thematic variety, wide diapason of scientific search, deep approach to problems, skills, scrupulous research, permanent scheduled scientific activity that has played a great role in the development of Geographical Sciences of Georgia. We will not exaggerate in saying that he is great Levan Maruashvili's celebrated precedent in the development of Georgian Geographical Sciences. And it is so appreciable that Koba Kharadze is still continuing his activities with his usual energy, love and courage.

Doctor of Geographical Sciences, Professor Koba Kharadze was born on October 20, 1940 in Chkhari (Terjola region) where he finished secondary school and worked at the tile factory of Chkhari. In 1959 he was sent to military service in Rostov-on-Don city.

Koba Kharadze even in his childhood was fascinated by the nature and history of his own country. Therefore, he travelled a lot on the territory of the region, studied its history and attentively observed natural phenomena. This fact had a great influence on the orientation of his future profession.

In 1962 Koba Kharadze successfully passed the entrance exams and enrolled the faculty of Biology-Geography of Kutaisi Pedagogical Institute. The next year his specialty was changed into Geography only. In his years of study Koba Kharadze was impetuous, hardworking, an excellent student at lectures (seminar-workshops, laboratory works, colloquia) as well as at field works. He processed many scientific works, theses of which were published in the scientific conference materials of students. Distinguished with hard work and discipline he also attracted attention by his speech diction, timbre of voice, oratorical art that

especially influenced on his pedagogical activity. After graduating the institute he was first sent to work in village Gumbati of Tsalka region and later he worked as a teacher of Geography in village Bogvi of Tetritskaro region. During working at school he was much respected by the pedagogical staff and the pupils. All his lessons were innovative and of high scientific-methodological level. During teaching at school he deepened his knowledge in several spheres of Geography and became acquainted with scientific literature. Together with young specialists of regional studies he went on excursions and collected abundant toponymic materials that helped him start his scientific activity. During working at school on the basis of scientific literature and scientific-research works he wrote a geographical description of several regions according to demand of secondary schools program “Own Region”. His activities as of an advanced teacher were many times in limelight of regional newspapers.

In 1969 Koba Kharadze successfully passed the entrance exams for post-graduated course at Vakhushti Bagrationi Institute of Geography of Georgian Academy of Sciences where he was supervised by an outstanding Georgian scientist, geographer Levan Maruashvili. Under his immediate supervision and consultations Koba Kharadze, consequently to his hard research work, earlier (before finishing the post-graduate course) presented his complete scientific Candidate’s thesis “History of Geographical Knowledge in Old Georgia (X-XVIII centuries)” that he successfully defended in September, 1973 at the session of Scientific Council for Specialized Degrees of Tbilisi State University.

From the first days of enrolling in Vakhushti Bagrationi Institute of Geography Koba Kharadze was a member of Department of Geomorphology. After finishing the post-graduate course he became first a junior scientist and from 1974 – a senior scientist. For 20 years he participated both in collective and individual scientific expeditions of the department. During years he visited all parts of Georgia, collected abundant expedition materials that he scrupulously analyzed along with the archival

and script materials from Moscow, Saint Petersburg and Tbilisi that enabled him to create a great number of scientific works.

Koba Kharadze's sphere of research together with History of Geography contains a full range of issues of Historical Geography, working on which he has successfully completed. His dedication for this work is very important for Georgian Geographical Sciences. For its illustration we can quote the words of Levan Maruashvili -- the scientific supervisor of Koba Kharadze and editor of one of his books: "Koba Kharadze's book "Old Toponyms of Georgia" is the result of a hard, scrupulous work full of patriotic spirit. The Georgian society gained a reference book that will fill up all public and family libraries. I cannot imagine an educated compatriot without the Explanatory Dictionary of Old Toponyms. Writers and scientists, administrators and workers of public industry, teachers and tourists will receive useful information from Koba Kharadze's book". In this work Koba Kharadze collected more than 30 thousand old Georgian toponyms, the part of which he has localized and etymologized. In 1982 publishing house "*Sabchota Sakartvelo*" prepared his first book "The Old Toponyms of Georgia" for publishing. The book was set at the book factory of Tbilisi, but unfortunately the matrices of the book were destroyed as the author refused to discard the toponymy of Abkhazia from the book as it was demanded by the Central Committee. Thus, the book was not published. But it is worth to note that the work contains nearly seven thousand old toponyms gained from written and cartographical sources and that are not used in official correspondence. The names are accompanied by old and new matches, geographical locations, chronological limits of use, etymology of names (for some part of toponyms), suppositions about their geographical-historical meaning, references to primary and secondary sources. The scientific editor of the book, Professor Levan Maruashvili says: "Koba Kharadze dedicated more than ten years to collect, explain and describe the old toponyms of Georgia. As a result of his stressful work we have obtained a very important book – a dictionary of abolished geographical names of our country".

Koba Kharadze has written four fundamental books in historical geography: Zemo Kartli, Shida Kartli, Kvemo Kartli (Upper, Inner and Lower Kartli) and Kakheti with which he completed his studies of historical geography of Eastern Georgia. These works were published in the following sequence: in 1991 publishing house “*Metsniereba*” published his monograph “Historical Geography of Georgia, Kvemo Kartli”, in 1992 publishing house “*Ganatleba*” published “Historical Geography of Georgia, Shida Kartli”, in 2000 “Historical Geography of Georgia, Zemo Kartli” was published by “*Metsniereba*”, and in 2010 – “Historical Geography of Kakheti (XVIII c). The above monographs are the result of continuous hard work during many years. They combine field and laboratory materials and contain noteworthy scientific conclusions that are an innovative new step at the background of the works of his predecessors. A special emphasis is put on the research of old toponyms, their localization and partial etymology. Besides, the part of the toponyms is localized by means of the ways and methods worked up by the author himself. The monographs also describe densities of population and populated areas. Attention is paid to ethnogeny, borders, administrative-territorial points, etc. The author has made retrospective maps of administrative-territorial division, population, density of populated areas and localization of toponyms.

In 1993 Koba Kharadze successfully defended his dissertation thesis “Historical Geography of Georgia. Kartli”. The dissertation combines the results of the research work during a couple of decades. It refers to a range of issues of historical geography of Georgia that enabled the author to newly solve some data that had been seen less obviously or ambiguously before. In this point special attention was paid to revealing of old toponyms and their localization. On the basis of additional researches the localization of some part of the toponyms were corrected. After studying historical sources and field observations many toponyms were newly studied. Koba Kharadze localized hundreds of old toponyms and made their corresponding maps.

The scientist dedicated great deal of work to the research of the development of Georgian geographical thinking. He wrote a lot of works on these problematic issues. Among them the most important are the monographs “Geographical Thinking in Old Georgia”, “Georgian and Foreign Travellers of XII-XV Centuries” (publishing house “*Ganatleba*”, Tbilisi, 1987), “Georgian Travellers of XVII-XIX Centuries” (publishing house “*Ganatleba*”, Tbilisi, 1987). These monographs tell about the development of Georgian geographical knowledge from the ancient period till the end of XIX century, they show how the Georgian geographical and travelling spheres have developed, analyze *traveller's impressions books* in the geographical viewpoint, contain rout maps for travellers, the part of which are made for the first time.

Professor Koba Kharadze dedicated a book to the 50th anniversary of the foundation of Vakhushti Bagrationi Institute of Geography. The book is about the formation and development of geographical sciences in Georgia till the last period; it tells in details about the 50 years' creative activities and future prospects of the institute.

In connection with Vakhushti Bagrationi's rich inheritance Koba Kharadze published the first (Samtskhe) and the second (Kartli) books of Vakhushti Bagrationi's works. It was intended to publish three more books from this series. Koba Kharadze is the editor and compiler of these publications that contain the emblems of separate parts of Georgia in Vakhushti's times. The emblems have their descriptions, maps of administrative-territorial division made in accordance with the up-to-date cartographical basis and lists of villages. The publications are appended by a vast preface.

Koba Kharadze has made his best for compiling the part of inorganic natural monuments of “The Red Book of Georgia” and its publishing. The scientist thoroughly worked to create the series of “Geographical Calendars of Georgia”. In 1987 publishing house “*Ganatleba*” published the first one of them, the second one – “Inorganic Natural Monuments” was published in 1988 and the third one “Nature and A Man” – in 1990. Each of

them is an author's sheet that contains very important information. All the three calendars are of high polygraphic level and are appended by very significant photos shot by the author.

Koba Kharadze has straightly and without fatigue followed his teacher's way. He has worked in different spheres according to the regulations fixed by Levan Maruashvili. In his works we can distinguish the following main orientations of geographical sciences that have been the objects of his research.

1. **Historical Geography.** Koba Kharadze with his four monographs in this sphere has done a great deal in the study of historical geography of Eastern Georgia. Much was said above, but this time we would like to add that as a result of revealing and analyzing novelties in the research of this great problem he has verified and made corrections and additions to Vakhushti Bagrationi's viewpoints.

2. **History of Geographical Studies.** In this direction Koba Kharadze has conducted a great work in the research of Georgian geographical thinking. He has written more than six monographs on this issue (three of them were mentioned above), out of which publishing house "*Metsniereba*" published "History of Geographical Knowledge in Old Georgia" in 1996. In 2008 "*Lega*" published "Twenty Five Years in Asian Countries – Raphiel Danibegashvili's Unusual Travels" and in 2010 – "Sulkhan Saba Orbeliani's Geographical-Cartographical Inheritance". All the six monographs contain significant scientific novelties that refer to the author's high scientific diapason. An encyclopedic monographic reference book (publishing house "*Ganatleba*", 2003) "Georgian Travellers, Geographers, Nature Researchers" (together with Shota Javakhishvili) is of the same orientation.

3. Author and co-author of **several course-books for high and public schools** among which the most noteworthy are: "Historical Geography of Georgia" (publishing house "*Kabado-*

*ni*", 2003), "General Physical Geography" (co-author, published by TSU, 2003); books for public schools: "Geography of Georgia", a course-book for IX year pupils (co-author, publishing house "*Logos Press*", 2008), "Our Georgia", a course-book for V year pupils (co-author, publishing house "*Logos Press*", 2010).

**4. Direction of Excursion and Tourism.** In this field on the basis of own field investigations and analysis of numerous literary sources Koba Kharadze created significant monographs: "Architectural and Natural Monuments of Javakheti" (publishing house "*Pavoriti*", 2003), "*Samshvilde*" (2010), "*Bodorna*" (2010). Additionally, in this point he has made maps for tours and excursions, has compiled a calendar; he has also published a number of articles, has filled up secondary and high school course-books with numerous materials on tourism and excursion. In the author's favour we should note that the above mentioned monographs are accompanied with coloured photos of historical and natural monuments and maps for excursions and tourism that have been made by the author himself.

**5. Direction of Medical Geography.** In this sphere at different times Koba Kharadze published letters, placed them as separate chapters in student's books of Geography, wrote two monographs about his native Chkhari: "A Prize for Merits – doctor Ilia Puluzashvili" (2007), "A Century in the Service of Health" (2010). Both monographs are based on generalizing and analyzing archival materials obtained during years and the facts that he had spectated and about which he had heard in public. The scientist has always been paying proper attention to cultivation of Medical Geography in secondary and high schools.

**6. Direction of Military Geography** occupies a proper place in Koba Kharadze's scientific-research work. For its illustration it would be quite satisfactory to mention a monograph "Historical Geography of Kakheti" published in 2010 where

Military Geography is outlined and analyzed as a separate issue. Military Geography is placed as a separate chapter in “Geography of Georgia” – a book for high schools. He has written several articles about the military geographical issues of “A Knight in the Tiger’s Skin”. During years he conducted a course in Military Geography at University of Sokhumi.

7. **Direction of Religious Geography** is one of significant fields in Koba Kharadze's scientific research work and creative activity. It is manifested in “Historical Geography of Kakheti” where the religion is analyzed as an individual issue (field) and is rich in historical photos of churches shot by the author. He has written numerous articles, has made maps and TV broadcasts on historical monuments. This issue is analyzed in his two books for high school: “Geography of Georgia”, part 1 (1999) and “Historical Geography of Georgia” (2003).

8. **Direction of Onomastics** takes quite a significant place in Koba Kharadze's invaluable work. Besides the above mentioned book he has published dozens of articles in different collections – “Onomastics”, works of Geographical Society, as well as journal “Georgia’s Nature”, newspapers, etc. He has done a great deal in restoring old Georgian toponyms of Bolnisi region.

